,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის №256/01-01ბრძანების და ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის №257/01-01ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის № 116/2021დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

ოქმიN3

ქ. თბილისი 17:00 – 18:00 სთ. 3 თებერვალი 2022 წელი

სხდომა მიმდინარეობდა დისტანციურად, zoom-რეჟიმში.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი - 1. თსუ ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. თსუ ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი ეფემია ხარაძე (კომისიის მდივანი); 4. თსუ ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე 5. თსუ ასოცირებული პროფესორი ივანე მინდაძე.

17.00 საათი.

დღის წესრიგი:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის №256/01-01ბრძანების და ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის №257/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებულ პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილისა და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპისა და, აგრეთვე, გასაუბრებაზე კონკურსანტების გამოსვლის შედეგების შეფასების შესახებ. ასევე, კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა კომისიის წევრებს დისტანციურად კენჭისყრის ჩატარების პროცედურა.

კომისია გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტების საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

Vote.tsu.ge ინსტრუმენტით ჩატარებული დისტანციური/online/ კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე დავით წამალაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

2. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გიორგი შარვაშიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

გადაწყვეტილების დასაბუთება:
ასისტენტ-პროფესორის 1(ერთი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტი დავით წამალაშვილი წლებია უძღვება განათლების დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებს. მისი განათლება და კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება ასისტენტ პროფესორის თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ასევე, მას აქვს მათემატიკის სწავლების 16-წლიანი გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურზე, რაც მის აკადემიურ პროფილს დამატებით მნიშვნელობას სძენს პედაგოგიკის მეცნიერების მიმართულებით სასწავლო-მეთოდური თუ კვლევითი მუშაობის თვალსაზრისით.

ასოცირებული პროფესორის 1(ერთი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტი გიორგი შარვაშიძე რამდენიმე ათეული წელია საქმიანობს საქართველოს განათლების სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რაც მას განათლების დარგის განზოგადებული, ფართო საერთაშორისო კონტექსტში ხედვის შესაძლებლობას აძლევს. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტის ინტერნაციონალიზაცია. პრეტენდენტის შერჩევისას კომისიამ სწორედ ამ ასპექტს მიაქცია ყურადღება და გაითვალისწინა ბ-ნი გიორგის ღირებული საერთაშორისო აკადემიური კავშირები და საექსპერტო გამოცდილება, რაც უდავოდ პოზიტიურად აისახება დეპარტამენტის სამომავლო საქმიანობაზე.

დაადგინეს:

- განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ბ-ნი დავით წამალაშვილი
- განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ბ-ნი გიორგი შარვაშიძე
- შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი№3 გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი



კომისიის მდივანი:

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ეფემია ხარაძე



კომისიის წევრები:

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ივანე მინდაძე

3 თებერვალი, 2022 წელი